

# Protection of Intellectual Property Rights under the Private International Law of Georgia

**Bakur Liluashvili**

*Doctor of Law,*

*Associate Professor at faculty of Law at Samtskhe-javakheti State University,*

*Member of the Union of Law Scientists*

Email: b.liluashvili69@mail.ru

ბაკურ ლილუაშვილი

## ABSTRACT

The article discusses current issues of intellectual property in private international law of Georgia. In particular, the legal rules for the protection of rights under both, substantive and procedural law. It is noteworthy to mention that not long ago, special norms for the consideration of intellectual property disputes were introduced in the civil procedure, which, in turn, should be considered a significant step forward. The paper discusses and characterizes the specific grounds for the international jurisdiction of the Georgian courts over intellectual property disputes, including the agreement of the parties on international jurisdiction. Moreover, the article analyses the problem of the law applied to private international legal agreements regarding intellectual property law. Based on the analysis of international treaties and conventions and the comparative method, the necessity of amendments to legislation of Georgia is substantiated.

**KEYWORDS:** Jurisdiction, Contact, law

## შესავალი

საერთაშორისო კერძო სამართალში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების მიზნით, მიღებულია სხვადასხვა კონვენცია და საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომლებიც განსაზღვრავენ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასამართლოთა საერთაშორისო განსჯადობისა და გამოსაყენებელი სამართლის პრინციპებს.

ნაშრომში განხილულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის პრინციპები და საფუძვლები.

სტატიაში ყურადღება ეთმობა ინტელექტუალური საკუთრების სამართალში მხარეთა შეთანხმების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის საკითხს. ამასთან ერთად, განხილულია სამართლის გამოყენების პრობლემა როგორც სახელშეკრულებო, ასევე, არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) ვალდებულებითი ურთიერთობების მიმართ.

## 1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა

ინტელექტუალურ სამართალში, ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დაცვის აუცილებლობის რამდენიმე მიზეზი შეიძლება გამოვყოთ. პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციით ინტელექტუალური საკუთრება განეკუთვნება ადამიანის ძირითად უფლებებს (მუხ. 20.1 ნაწილი); მეორე ეს არის -საკანონმდებლო დონეზე ავტორთა ქმნილებებზე მორალური, ეკონომიკური ინტერესების დაცვა და მათზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა, მესამე – სახელმწიფოს წინასწარ განზრახული ქმედება შემოქმედების ხელშეწყობისა და გავრცელებისათვის, შედეგების გამოყენებისა და კეთილსინდისიერი ვაჭრობის წახალისებისათვის, რომელიც წვლილს შეიტანს ეკონომიკურ-სოციალურ განვითარებაში.<sup>1</sup> დაცვის აუცილებლობის შემდგომ

მი მიზანი – შემოქმედებისა და ინოვაციის ხელშეწყობაა, აქედან გამომდინარე, სოციალური კეთილდღეობის მიღწევა და მომხმარებელთა დაკმაყოფილება ძირითადად ეკონომიკური მოტივებით განისაზღვრება, რომელიც თავის მხრივ გამოვლინდება როგორც მაკრო, ასევე მიკროეკონომიკის დონეზე.<sup>2</sup> „ავტორის ქონებრივი უფლებები მოიცავს ავტორის ექსკლუზიურ უფლებას საკუთარი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად მიიღოს მატერიალური სარგებელი. პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს აძლევს შესაძლებლობას, დაიცვას მისი პერსონალურობა გამოხატული ნაწარმოებში და განახორციელოს კონტროლი საკუთარ ნაშრომზე.“<sup>3</sup>

ეროვნული რეჟიმის პრინციპს\* ითვალისწინებს ბერნის\*\* სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია\*\*\*, (რომელიც ეხება მხოლოდ სამრეწველო საკუთრებას). ასევე, რომის კონვენცია\*\*\*\*, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამივე ეს

1 ისმო-ს სახელმძღვანელო ცნობარი; WIPO intellectual Property Handbook; Policy, law and use, 2<sup>nd</sup> ed. Geneva 2004. pp.3-4, [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: [https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo\\_pub\\_489.pdf](https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_489.pdf)

2 კური, ა. და დრეიერი, ტ., 2017. ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 6.

3 Adusei, P., 2005. Modern challenges to moral rights protection under copyright Law: the way forward, Edmonton, Alberta, 13. ციტატა მოყვანილია: საჯაია, ლ., 2014. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები. სადოქტორო დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი: გვ. 47. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: [www.tsu.ge/faculties/law/go8knyzegtrnhgfk/pvppr5hsqbjhv0pq/2i0jbcfgw15fo1bzn/](http://www.tsu.ge/faculties/law/go8knyzegtrnhgfk/pvppr5hsqbjhv0pq/2i0jbcfgw15fo1bzn/)

\* ეროვნული რეჟიმი – პრინციპი, რომლის თანახმად ქვეყანაში სამართალსუბიექტთა უფლებები და მოვალეობები გათანაბრებულია უცხოელ სამართალსუბიექტთა უფლებებთან და მოვალეობებთან (გარკვეული გამონაკლისების გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში).

\*\* ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია – საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი 1995 წ. 16 მაისი. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: [www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/2446482?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/2446482?publication=0)

\*\*\* სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია. საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი 1993 წ. 14 ივნისი. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: [www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/view/2446385?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/view/2446385?publication=0)

\*\*\*\* შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ რომის კონვენცია; საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი 2004 წ. 14 აგვისტო. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: [www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/1399889?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/1399889?publication=0)

კონვენცია ითვალისწინებს უფლებათა იმ მინიმუმს, რომელიც გააჩნია ზემოთ დასახელებულ სუბიექტებს – ავტორებს.\*

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტია მიღებული. იქნება ეს საავტორო თუ სამრეწველო საკუთრება. ამავე დროს, გათვალისწინებულია როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.\*\*

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველომ გაითვალისწინა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წ. 29 აპრილის დირექტივა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების (იძულებითი აღსრულების) შესახებ (2004/48/EC)\*\*\* და 2017 წ. 23 დეკემბრის კანონით შევიდა ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, კანონს დაემატა კარი მეშვიდე<sup>5</sup> – „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის საქმეზე სამართალწარმოების თავისებურებანი“.

აღნიშნულმა ცვლილებებმა, შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად გაითვალისწინა, ზემოთ აღნიშნული, დირექტივა და სპეციალური ნორმებით დადგინა ინტელექტუალური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის (36327-ე მუხლი), სასამართლოს გზით ინტელექტუალური უფლებების მფლობელისათვის ინფორმაციის მიღების უფლების (36328-ე მუხლი) და სარჩელის უზრუნველყოფის დონის დიქტები (36329-ე მუხლი).

## 2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვზე საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო ბანსჯადობა

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების დონეზე დარღვეული, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სასამართლო წესით დაცვის მიზნისთვის, სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის დადგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მისი მეშვეობით უნდა განისაზღვროს, რომელმა ქვეყნის სასამართლო სისტემამ მიიღოს და განიხილოს მხარეთა შორის არსებული დავა. ამჟამად ასეთი სახის სარჩელები არ არის დიდი რაოდენობით, მაგრამ მომავალში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად აუცილებლად გაიზრდება იმ ინტელექტუალური საკუთრების დავების რიცხვი, რომელიც თავისი შემადგენლობით სცილდება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიას.

## ბანსაკუთრებელი საერთაშორისო კომპეტენცია

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც ადგენს საქა-

\* მაგ. პარიზის კონვენციის მე-4, მე-4 ter, მე-5, მე-5 bis, მე-6 bis და მე-6 quinquies მუხლები; ბერნის კონვენციის მე-8, მე-9, მე-10-12 მუხლები; რომის კონვენციის მე-7, მე-8, მე-10 და მე-13 მუხლები.

\*\* ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1571–158-ე მუხლის ჩათვლით. 15/12/1984. # 161 [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=459> სისხლის სამართლის კოდექსის 189-1891 მუხლები. მიღების თარიღი 22/07/1999 ნომერი 2287. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=226>

\*\*\* დირექტივა 2004/48/EC.

რთველოს სასამართლოების განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას, კერძოდ, როდესაც დავა ეხება: „დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა.“<sup>4</sup> როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში პატენტის გაცემას, სასაქონლო ნიშნისა და დიზაინის რეგისტრაციას ახდენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქპატენტი. ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ „საქპატენტი“ რეგისტრაცია (პატენტის გაცემა) უზრუნველყოფს სამართლებრივად სამართლის სუბიექტისთვის აღნიშნულ ინტელექტუალურ უფლებებს – ქონებრივსა და არაქონებრივს. ე. ი. როდესაც დავა ეხება „საქპატენტის“ მიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე ინტელექტუალური უფლებების მოპოვებას ან მისი განხორციელების მოთხოვნას, ამ დროს საქმის გადაწყვეტის განსაკუთრებული კომპეტენცია გააჩნია ჩვენი ქვეყნის სასამართლოს. როგორც ცნობილია, სასამართლოების განსაკუთრებული განსჯადობა, ეს არის ისეთი სახის განსჯადობა, რომელიც უშვებს სარჩე-

ლის აღძვრის შესაძლებლობას მხოლოდ ერთი ქვეყნის სასამართლოს სისტემაში. ე.ი. მხოლოდ საქართველოს, და არა სხვა რომელიმე სახელმწიფოს სასამართლოა უფლებამოსილი რომ განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ასეთ შემთხვევაში, არა აქვს მნიშვნელობა არც მოპასუხის საცხოვრებელ ადგილს, არც იურიდიული პირის ადგილსამყოფელს და არც მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოს არჩევას. სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს იმ სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, რომელსაც თავისი კანონმდებლობით გააჩნია განსაკუთრებული საერთაშორისო განსჯადობა. აღნიშნული ინსტიტუტისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ ერთი – თუ სხვა ქვეყანაში მაინც აღიძრა და შემდგომ მიღებული იქნა სარჩელი, იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის, ამ უკანასკნელმა უარი უნდა თქვას საქმის განხილვაზე განსჯადობის არქონის საფუძვლით. მეორე – იმ შემთხვევაში თუ მაინც განხორციელდება სამართალწარმოება და გადაწყვეტილების გამოტანა, არ მოხდება ჩვენს ქვეყანაში უცხო სახელმწიფოს სასა-

4 მუხლი 10, ქვეპუნქტი „დ“, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის სამართლის შესახებ“ [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>

შედარებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ლუგანოს 2007 წ. 30. 10 კონვენცია – სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და კომერციულ დავებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ კონვენციის მე-16 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს განსაკუთრებული სასამართლო განსჯადობის პირობებს; კერძოდ აღნიშნული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სასამართლოს გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია: „4) დავებზე, რომლის საგანია პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა მსგავსი ისეთი უფლება, რომელიც მოითხოვს დეპონირებას ან რეგისტრაციას – განსაკუთრებული განსჯადობა გააჩნია იმ მონაწილე ქვეყნის სასამართლოს, სადაც რეგისტრაცია მოთხოვეს, ან მოხდა რეგისტრაცია, ან საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ითვლება რომ მოხდა ასეთი ფაქტი.“

ასევე, ბრიუსელის სასამართლო განსჯადობისა და სამოქალაქო და კომერციულ დავებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღიარებისა და აღსრულების შესახებ 2000 წ. 21 დეკემბრის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტერმინოლოგიის ერთიანობის მიზნით, კანონის აღნიშნული ჩანაწერი მოითხოვს დაბუსტებას – მაგალითის სახით რომ ვთქვათ, სავაჭრო ნიშანი როგორც ტერმინი შეცვლილია სასაქონლო ნიშნით. მნიშვნელობიდან გამომდინარე ამ საკითხს სჭირდება ცალკე დამუშავება.

მართლო გადაწყვეტილების ცნობა – აღსრულება საქართველოში (სკს-ის კანონის მუხ. 68. პუნქ. 2 „ა“ ქვეპუნქტი). აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სასაქონლო ნიშანი იქცევა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად და აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაში, მხარეთა შორის დავა უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.<sup>5</sup>

## საერთაშორისო კომპეტენციის სხვა საფუძვლები განსჯადობის საერთო წესი

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად: საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.<sup>6</sup> ეს არის ზოგადი პრინციპი და აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი ქვეყნის სასამართლოებს ყოველთვის გააჩნიათ სა-

ერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს გააჩნიათ საქართველოში საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან იურიდიული მისამართი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოპასუხის საცხოვრებელი (იურიდიული მისამართის) ადგილის საფუძველზე განსჯადობის განსაზღვრა წარმოადგენს, ასევე, ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ ზოგად პრინციპს (სსსკ-ის მუხ. 15). განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო განსჯადობა განსაზღვრავს, თუ საქართველოს ტერიტორიაზე რომელ სასამართლოში უნდა აღიძრას სარჩელი, ხოლო საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით განსაზღვრული საერთო განსჯადობა კი მიგვითითებს უშუალოდ საქართველოს სასამართლო სისტემაზე.

საერთაშორისო განსჯადობის ნორმები წარმოადგენენ ცალმხრივ საკოლიზიო ნორმებს, განსხვავებით საერთაშორისო კერძო სამართლის სხვა ორმხრივი საკოლიზიო მატერიალური ნორმებისაგან.<sup>7</sup>

საერთაშორისო განსჯადობის, ერთდერითი, დანიშნულებაა ერთი ქვეყნის სასამართლო იურისდიქციის სფეროს განსაზღვრა სხვა სახელმწიფოს სასამართლო

5 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე (#ბს-424-413(გ-13). [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: [www.supremecourt.ge/ganmartebebi/files/upload-file/pdf/n72-mnishvnelovani-ganmarteba.pdf](http://www.supremecourt.ge/ganmartebebi/files/upload-file/pdf/n72-mnishvnelovani-ganmarteba.pdf)

6 მუხლი 8, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის სამართლის შესახებ“. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>

“საცხოვრებელი ადგილი“, „ადგილსამყოფელი“, – ტერმინების თაობაზე იხ. ჭანტურია, ლ., რედ., 2017.. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I. მუხლი 20, გვ. 160-166.; „იურიდიული პირის ადგილსამყოფელი“ ტერმინის თაობაზე იხ. ჭანტურია, ლ., რედ. დასახ. ნაშრომი. გვ 203-208.

7 ლილუაშვილი, თ., 2001. საერთაშორისო კერძო სამართალი. თბილისი: ჯისიაი, გვ. 126-127.

იხ. აგრეთვე: „საერთაშორისო კერძო სამართალი ადგენს, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა გამოიყენოს, საერთაშორისო განსჯადობის შესახებ წესები ადგენს, თუ რომელი ქვეყნის სასამართლო უნდა გადაწყვიტოს დავა.“ იხ. Kegel, G., 1987. Internationales Privatrecht. Munchen.: 6 Auflage. Verlag C. H. Beck. s. 684.

იურისდიქციისაგან. თუმცა, მათ შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი, კერძოდ, თუ დადგინდა საქართველოს საერთაშორისო კომპეტენცია, ამის შემდეგ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული წესებით უნდა გადაწყდეს, ქვეყნის ტერიტორიაზე, უშუალოდ რომელმა სასამართლომ გადაწყვიტოს საქმე.

### მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავები

საქართველო საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის სასამართლოებს გააჩნიათ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ „ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა;“<sup>8</sup> პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებები უნდა განვასხვავოთ სამართლის სხვა სფეროში განხორციელებული გარიგებებისგან, ისეთი როგორცაა მაგ. ყიდვა-გაყიდვის, მომსახურების და სხვ. ინტელექტუალური საკუთრების სამართალში დადებულ ხელშეკრულებებს თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები გააჩნია. ეს გამოიხატება ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე. კერძოდ, ამ შემთხვევაში ხდება უშუალოდ უფლების (ქონებრივი) სხვა პირისათვის გადაცემა და მის მიერ არ ხდება ხელის შეშლა უფლებების გადაცემული პირისთვის, ამ უფლებების სარგებლობისათვის. ე. ი. ლიცენზიატს უნდა გააჩნდეს გადაცემული უფლების

თავისუფლად სარგებლობის (გამოყენების) სამართლებრივი შესაძლებლობა.<sup>9</sup> რა უფლებების გადაცემა შეიძლება, ამაზე პასუხს გაგვცემს უშუალოდ საქართველოს კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შესახებ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი მოიცავს როგორც არაქონებრივ, ასევე ქონებრივ უფლებებს. ხელშეკრულებით შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ქონებრივი უფლებები, არაქონებრივი უფლებების გადაცემა დაუშვებელია.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალში როგორ შეიძლება განვსაზღვროთ „ხელშეკრულების შესრულების ადგილი“. როგორც ცნობილია, ხელშეკრულების (ვალდებულების) შესრულების ადგილი შეიძლება განისაზღვროს ან კანონით, ან/და მხარეთა შეთანხმებით. პირველ შემთხვევაში, იგი კანონის ობიექტური ნებით არის დადგენილი და აუცილებელია მხარეთათვის; მეორე შემთხვევაში, კი, განისაზღვრება მხარეთა კონსენსუსის საფუძველზე. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც არც კანონით, არც მხარეთა შეთანხმებით (გარიგებაში პირდაპირ მითითება) შეიძლება შესრულების ადგილის დადგენა. აღნიშნული გარემოებების არსებობის შემთხვევაში შეიძლება მივმართოთ, ერთი – 362-ე მუხლს, ინდივიდუალური და გვარეობითი ნივთების გადაცემის წესები, მეორე – უნდა ვიხელმძღვანელოთ ვალდებულების არსიდან გამომდინარე. ე. წ. „შესრულების საგულისხმო ადგილი“.\* გამომდინარე აქედან, ინტელექტუალურ დავებთან დაკავშირებით ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენას, შეი-

8 მუხლი 9, ქვეპუნქტი „ბ“, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის სამართლის შესახებ“ [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>

9 კური, ა. და დრეიერი, ტ., 2017. დასახელებული ნაშრომი, გვ. 537.

\* უფრო ვრცლად იხ. – ჭანტურია, ლ., რედ. 2019. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III, თბილისი: სამართალი.

ძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის. დადგინდება რა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო კომპეტენცია, შემდეგ უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით, რომელიც ეხება ქვეყნის ტერიტორიაზე სასამართლოთა განსაკუთრებულ განსჯადობას და, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად: ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, ....<sup>10</sup>

### სარჩელი რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ

საქართველოს სასამართლოებს, ასევე გააჩნიათ საერთაშორისო განსჯადობა საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-9 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, როდესაც: ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.<sup>11</sup> ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საპროცესო თანამონაწილეობასთან (სსსკ-ის 86-87 მუხ.).\* როგორც ცნობილია, თანამონაწილეობა არსებობს ორი სახის: ა)

სავალდებულო (სსსკ-ის მუხ. 86 „ა.“ პუნ) და ბ) ფაკულტატური (არასავალდებულო) თანამონაწილეობა (სსსკ-ის მუხ. 86 „ბ“ და „გ“. პუნ.)<sup>12</sup> ზოგადად აღნიშნული პროცესუალური ინსტიტუტის მიზნები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: 1) რამდენიმე პირისადმი მოთხოვნის განხილვა იძლევა საშუალებას ერთ სასამართლო საქმის წარმოებაში მიღებულ იქნას გადაწყვეტილება; ე. ი. არ არის საჭირო სხვადასხვა სასამართლო პროცესების ჩატარება; 2) საქმის განხილვა ერთობლივად თანამონაწილეთა (თანამოპასუხეთა) მიმართ, ამცირებს პროცესის ხარჯებს, ასევე ვადებს; 3) უფრო სრულყოფილად შეიძლება ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა, მტკიცებულებების მოპოვება-დადგენა, აქედან გამომდინარე, უფრო ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანა; 4) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემდეგი: უზრუნველყოფილია ურთიერთსაწინააღმდეგო ან/და რამდენიმე სასამართლო გადაწყვეტილების არარსებობა, ეს, კი, თავის მხრივ, არსებით დანიშნულებას იძენს ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულების პროცესში. როგორც შესრულების ადგილის, ასევე მოპასუხეთა თანამონაწილეობის შემთხვევაშიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს ქვეყნის სასამართლოთა შიდა განსაკუთრებულ განსჯადობას (მუხ. 16. 1. 2. ნაწ.). თანამონაწილეობა (თანამოპასუხეების

10 მუხლი 16, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.“ [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141>

11 მუხლი 9, ქვეპუნქტი „ა“, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის სამართლის შესახებ“. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>

\* თანამონაწილეობას იცნობს სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო სამართალიც, მაგ. გერმანიის სსკ-ის 59 მუხლი. ასევე Thomas/putzo., 1997. ZPO. 20 Auflage. Verlag C. H. Beck. Munchen . საფრანგეთი – Nour code de procedure civile. 1997. Dalloz; აშშ – Federal rules of civil procedure. 1994 West Publishing co.

12 ლილუაშვილი, თ., 2005. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი: ჯისიი, გვ. 123.

თანამონაწილეობის შესახებ უფრო ვრცლად ასევე იხ. ქურდაძე, შ. და ხუნაშვილი, ნ., 2015. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 155.

არსებობა) ცვლის როგორც ქვეყნის შიგნით განსჯადობის, ასევე, საერთაშორისო განსჯადობის პრინციპებს. კერძოდ, განსჯადობას მოპასუხის საცხოვრებელი (იურიდიული მისამართი) ადგილის მიხედვით. კერძოდ, საქართველოს ესა თუ ის სასამართლო განსჯადია იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთს მაინც აქვს საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული მისამართი) ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე. ხოლო, სხვა მოპასუხეებს შეიძლება სხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე ჰქონდეთ საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი. აღნიშნულმა მოპასუხეებმა, უწყების მიღების შემთხვევაში მონაწილეობა უნდა მიიღონ სამართალწარმოებაში. შეიძლება ითქვას, რომ იგივე პრინციპი ვრცელდება საერთაშორისო განსჯადობის დადგენისას თანამოპასუხეების არსებობის შემთხვევაშიც. მთავარია, არსებობდეს ორი პირობა, პირველი : ერთ-ერთ მოპასუხეს საქართველოში ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ადგილსამყოფელი. სხვა მოპასუხეს (მოპასუხეებს) შეიძლება სხვა სახელმწიფოში გააჩნდეთ ადგილსამყოფელი. მეორე: ასევე, მნიშვნელოვანია, არსებობდეს თანამონაწილეობისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, აუცილებელია, რომ ეს ორი პირობა ერთობლივად არსებობდეს, რათა სასამართლომ მიიღოს სარჩელი წარმოებაში და განიხილოს.

### მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებული ზიანი

საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის მე-9 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს

სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია გააჩნიათ, თუ: „გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა.“<sup>13</sup>

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ინტელექტუალური საკუთრების სამართალში ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობის განსაზღვრის შესახებ და მასთან დაკავშირებული ნიშან-თვისებების თაობაზე. ამავე დროს, უნდა აღვნიშნოთ, რომ უფლებების დარღვევის ადგილმდებარეობის დადგენა, შეიძლება ითქვას, შედარებით ადვილია, რადგან ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება გვქონდეს ფიზიკური ნივთის დამზადებასთან, გასხვისებასთან ან სხვა სახით მათ სარგებლობასთან.

მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ „მართლწინააღმდეგობა“ (არამართლზომიერება), როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, აუცილებელი დამახასიათებელი ელემენტია როგორც სახელშეკრულებო, ასევე, არასახელშეკრულებო ურთიერთობებში ვალდებულების დარღვევისას. ამ შემთხვევაში, უნდა მოვიზიაროთ არასახელშეკრულებო ურთიერთობებში არამართლზომიერი ქმედებები, ანუ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და მათ შორის დელიქტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცემული წესი იქნებოდა ამავე მუხლის „ბ“ პუნქტით დადგენილი პრინციპის გამეორება.

მეორე – ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება მოხდა საქართველოში. ე. ი. საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ინტელექტუალურ დავებზე საერთაშორისო განსჯადობა, თუ 1) არამართლზომიერი ქმედება განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში, თუმცა შეიძლება ზიანი სხვა ქვეყანაში დადგა,

13 მუხლი 9, ქვეპუნქტი „გ“, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის სამართლის შესახებ“. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>



ან 2) ქმედების შედეგად ზიანი დადგა საქართველოში. ზიანი კი, როგორც ცნობილია, მართლსაწინააღმდეგო ქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს. (ინტელექტუალურ სამართალში კანონისმიერი ვალდებულებების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს მაგ. უსაფუძვლო გამდიდრებაში, ასევე დელიქტებში).

უმთავრესი საფუძველი, საერთაშორისო კომპეტენციის აღნიშნული წესის დადგენისა, არის შემდეგი პირობები: კერძოდ, ზიანის გამომწვევი ქმედებების განხორციელების ან დამდგარი ზიანის არსებობის შემთხვევაში უფრო მარტივია მოწმეების მოკვლევა, გამოკითხვა. ხელმისაწვდომია მტკიცებულებების მოძიება, გამოკვლევა, მათი უზრუნველყოფა (მაგ. დაყადაღება), ასევე, ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად სხვა გარემოებების დადგენა და სასამართლოში მათი წარდგენა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთ შემთხვევებში, შეიძლება სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის მიზნით, თავისი ქვეყნის მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენება (სკს-ის კანონის მუხ. 42).

### მხარეთა შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე

საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: 1) მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით იგი კომპეტენტური არ არის.<sup>14</sup> საერთაშორისო კომპეტენციაზე შეთანხმებით, ერთი მხრივ – ქვეყნის სასამართლო იძენს

საქმის განხილვაზე უფლებამოსილებას და ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას იგი არ გააჩნდა ეროვნული კანონმდებლობით (პროროგაციული შეთანხმება), მეორე მხრივ – საერთაშორისო კომპეტენციის მქონე ქვეყნის სასამართლო კარგავს საქმის განხილვაზე მინიჭებულ უფლებას (დეროგაცია).

კომპეტენციაზე შეთანხმებას გააჩნია გარკვეულად განსაკუთრებული განსჯადობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი შეთანხმების არსებობისას უპირატესობა გააჩნია მხარეთა მიერ არჩეული ქვეყნის სასამართლოს, იგი ცვლის კანონით დადგენილი კომპეტენციის პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში გამონაკლისია მხოლოდ განსაკუთრებული განსჯადობა, რომლის საფუძვლებს თითოეული სახელმწიფო თვითონ ადგენს და მხარეთა მორიგების მიუხედავად მათი შეცვლა დაუშვებელია.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, მხარეებს ინტელექტუალურ ქონებრივ უფლებათა გადაცემის თაობაზე დადებულ ხელშეკრულებებში, შეუძლიათ აირჩიონ (მიუთითონ) ამა თუ იმ სახელმწიფოს, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოს სასამართლო, რომელიც გადაწყვეტს მომავალში მათ შორის წარმოქმნილ დავას. ამასთან, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მხარეებს გარიგების დადების შემდეგაც შეუძლიათ, ცალკე, დამოუკიდებელი ხელშეკრულებით შეთანხმდნენ ქვეყნის სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე. შეიძლება დაისვას კითხვა, რა დრომდე (რომელ სტადიამდე) აქვთ უფლება მხარეებს შეთანხმდნენ სასამართლოების საერთაშორისო განსჯადობაზე? სარჩელის აღძვრამდე, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგაც თუ საქმის

14 მუხლი 18, პუნქტი 1, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4>

მთავარ სხდომაზე განხილვამდე. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სკს-ის შესახებ კანონი არ ითვალისწინებს ვადების შეზღუდვის საფუძველებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარეებს ნებისმიერ სტადიაზე, კერძოდ, სასამართლოს მთავარის სხდომის დამთავრებამდე აქვს უფლება დადოს აღნიშნული გარიგება. რაც, თავის მხრივ, „ნების ავტონომიის“ პრინციპის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე მხარეთა შეთანხმება წარმოადგენს განსაკუთრებული სახის გარიგებას (SUI GENERIS). ანუ, მისი ძალაში შესვლა განისაზღვრება მატერიალური სამართლით, ხოლო, სამართალწარმოებაში მისი დასაშვებობა და მოქმედება პროცესუალური სამართლით.<sup>15</sup>

### 3. გამოსაყენებელი სამართალი

საერთაშორისო კერძო სამართალში ინტელექტუალური საკუთრების სამართალთან მიმართებით მეორე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია – დავის გადაწყვეტისას გამოსაყენებელი სამართალი. ამ შემთხვევაში უნდა გამოვყოთ რამდენიმე მიმართულება, პირველი – სახელმწიფოებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ა) მხარეთა მიერ სამართლის არჩევას და ბ) როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი; მეორე – არასახელმწიფოებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი.

### 3.1. სახელმწიფოებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი

#### სახელმწიფოებო ვალდებულებების მიმართ მხარეთა მიერ სამართლის არჩევა

საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 35-ე მუხლი ეხება მხარეთა მიერ სამართლის არჩევას. ეჭვს არ იწვევს ის, რომ იგი მოიცავს, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან მიმართებით დადებულ ხელშეკრულებებს. კერძოდ, პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ მათ შორის დადებული ხელშეკრულების მარეგულირებელი სამართალი (განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, დარღვევა, წინასახელმწიფოებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევა და სხვ).

გამოსაყენებელი სამართლის არჩევის ორი ასპექტი არსებობს, ეს არის პირდაპირი და არაპირდაპირი.<sup>16</sup> პირდაპირია, როდესაც შეთანხმებაში პირდაპირ არის განსაზღვრული ქვეყანა, არაპირდაპირი – ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების პირობებიდან ან საქმის გარემოებებიდან უნდა ირკვეოდეს გამოსაყენებელი სამართლის სახელმწიფო. ეს პრინციპი მაგ. დადგენილია „სახელმწიფოებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ რეგლამენტის (რომის I რეგლამენტი) მე-3 მუხლის პირველ პუნქტში – მხარეების მიერ სამართლის არჩევა პირდაპირ უნდა დადგინდეს ან აშკარად გამომდინარეობდეს ხელშეკრულების პირობებიდან, ან

15 იხ. ლილუაშვილი, ბ., 2017. სასამართლოთა საერთაშორისო განსჯადობაზე მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი ბუნება. თბილისი: სამართალი და მსოფლიო, 6, გვ. 15.

16 კური, ა. და დრეიერი, ტ., დასახ. ნაშრომი, გვ. 565.

საქმის გარემოებებიდან.<sup>17</sup> უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს არჩევის არაპირდაპირ წესს. ვფიქრობთ, აღნიშნული წესის გაზიარება უფრო მეტად განამტკიცებდა და გააფართოებდა „მხარეთა ნების ავტონომიის“ პრინციპს ჩვენი ქვეყნის სამართალში, რაც, ამავე დროს, კიდევ უფრო მოქნილს გახდება საკოლიზიო ნორმას.

გასათვალისწინებელია შემდეგიც, სამართლის არჩევა აუცილებელია ეხებოდეს ხელშეკრულების ყველა პირობას, თუ შეიძლება მათი გარკვეული ნაწილის მიმართ „ნების ავტონომიის“ პრინციპის გამოყენება? საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს აღნიშნულ წესს. ამ შემთხვევაშიც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გარიგების მონაწილე სუბიექტებს გააჩნდეთ უფლება არა მხოლოდ სრულად, არამედ ხელშეკრულების გარკვეული პირობები დაუქვემდებარონ არჩეულ ქვეყნის სამართალს.<sup>18</sup> ვფიქრობთ, ეს წესი არ უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ ინტელექტუალური სამართლის სფეროში დადებულ ხელშეკრულებებზე.

ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ორი საკითხიც – ა) შეიძლება თუ არა უკვე არჩეული სამართლის შემდგომში შეცვლა და ბ) რა ვადამდე შეიძლება მხარეთა მიერ სამართლის არჩევა. პირველ კითხვაზე პასუხს გვცემს 35-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების დადების შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ შეცვალონ არჩეული სამართალი

ლი სხვა ქვეყნის სამართლით.<sup>19</sup> მეორე – „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონი არ ადგენს ვადასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვას. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასვინათ, რომ გარიგების (ასევე მისი რომელიმე პირობის) მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა შეიძლება როგორც ძირითადი ხელშეკრულების დადებისას, ასევე, შემდგომშიც, ცალკე გარიგების სახით სასამართლოში სამართალწარმოების დროსაც სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად. იგივე პრინციპი ვრცელდება უკვე არჩეული სამართლის შემდგომში შეცვლის წესზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ნების ავტონომიის შეზღუდვის საფუძვლებს, ანუ როდესაც შეიძლება არჩეული სამართლის უგულებელყოფა – სამართლის არჩევის გაბათილება (მუხ. 35.3; მუხ. 38; საფუძვლები ეხება იმპერატიულ და დისკრიმინაციულ ნორმებს).<sup>20</sup> აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, გაბათილება არ ნიშნავს მთლიანად ხელშეკრულების გაბათილებას, იმ შემთხვევაში, თუ იგი ძირითად გარიგებაში არის, როგორც ამ ხელშეკრულების ნაწილი – ასეთ ვითარებაში უქმდება მხოლოდ აღნიშნული პირობა. მაგრამ თუ სამართლის არჩევა წარმოადგენს ცალკე შეთანხმების საგანს, რა თქმა უნდა, იგი უნდა გაბათილდეს.

ასეთ ვითარებაში არ აქვს მნიშვნელობა, მხარეებს გამორჩათ, ვერ შეთანხმდნენ თუ არსებობს სხვა გარემოებები. ამ შემთხვევაში მივმართავთ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 36-ე

17 „სახელშეკრულებო ვალდებულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი“ რეგლამენტი 593/2008 (რომი I რეგლამენტი). [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020.] ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:177:0006:0016:En:PDF>

18 იქვე, მუხლი 3, პუნქტი 1, ბოლო წინადადება.

19 რომის I რეგლამენტი, მუხლი 3. 2. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:177:0006:0016:En:PDF>

20 ლილეუშვილი, თ., 2001. საერთაშორისო კერძო სამართალი. თბილისი: ჯისიაი, გვ 83-84.

მუხლს. არჩევის არარსებობისას, ამოსავალი პრინციპია ხელშეკრულების დაქვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნის სამართალთან. აქვეა მითითებული, თუ რა გარემოებების არსებობის შემთხვევაში ითვლება ხელშეკრულება ქვეყანასთან „ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულად“ – ეს არის მხარე, რომელსაც უნდა შეესრულებინა სახელშეკრულებო ვალდებულება. მას ხელშეკრულების დადებისას გააჩნია ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი (ფიზიკური პირი) ან/და ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი – იურიდიული პირის შემთხვევაში. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს არის მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართი) სახელმწიფო.

დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელი მხარე სხვადასხვა სახის ხელშეკრულებაში განსხვავებული საფუძვლებით შეიძლება განსაზღვროთ. მაგ. ნასყიდობის შემთხვევაში – გამყიდველი, გადაზიდვების ხელშეკრულებაში – გადამზიდველი და ასე შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ მსგავს პრინციპს ითვალისწინებს რომის I რეგლამენტის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, სადაც დადგენილია ის საფუძვლები რომლებიც განსაზღვრავენ სამართალს, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს იგი არ აურჩევიათ. ეს არის ყიდვა-გაყიდვის, მომსახურების, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული გარიგებები და სხვ. უნდა აღვნიშნოთ, რომ არც საქართველოს კანონი და არც რეგლამენტი არ განსაზღვრავს არჩევის არარსებობისას ინტელექტუალური საკუთრების სამართალთან დაკავშირებულ საფუძვლებს. ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების ნაირსახეობა მოითხოვს განსხვავებულ გადაწყვეტას ერთი მკაცრი, კონკრეტული წესის ნაცვლად.<sup>21</sup> ერთი მხრივ, შეიძლება საქმე გვქონდეს ე. წ. „ფორმით

მარტივ ხელშეკრულებებთან“, რომლებიც მთლიან გაყიდვას ასახავს, მაგ. უფლების დათმობა ან ანაზღაურების სანაცვლოდ ლიცენზიის გაცემა ერთდროული გადახდის გზით. მეორე მხრივ, უფრო „რთული გარიგებები“, რომლებიც მოიცავს ლიცენზიატის პირდაპირ ან არაპირდაპირ ვალდებულებას ინტელექტუალური საკუთრების უფლების გამოყენების თაობაზე, და ამასთან ერთად, ახლავს პირობები წარმოების რაოდენობის ან გამოყენების მეთოდების შესახებ.<sup>22</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეიძლება ლიცენზიარის, ლიცენზიატის და შესრულების ადგილიც წარმოადგენდეს ერთ სახელმწიფოს; ამ შემთხვევაში ადვილია მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის დადგენა; მეორე, საავტორო უფლების ობიექტის შემთხვევაში – ლიცენზიარის ქვეყანა იყოს ერთი, ლიცენზიატს საცხოვრებელი ადგილი (ან იურიდიული მისამართი) გააჩნდეს სხვა ქვეყანაში, ხოლო დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილს წარმოადგენდეს მესამე სახელმწიფო, ამავე დროს გარიგება მოიცავს წარმოების რაოდენობას, პერიოდულად გადასახდელ ფულად ვალდებულებებს, გადაცემული უფლებების გამოყენების მეთოდებს და ასე შემდეგ. (ე. წ. რთული გარიგებები). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გაფართოვდეს ის ფაქტორები, რომლებიც კიდევ უფრო განსაზღვრავს გამოსაყენებელი სახელმწიფოს სამართალთან „მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყანას“ და 36-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი წინადადება: ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, ასევე, შეიძლება დაექვემდებაროს იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მხარეს უნდა შეესრულებინა დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება.

21 კური, ა. და დრეიერი, ტ., დასახ. ნაშრომი, გვ. 566.

22 იქვე, გვ. 566.

## არასახელშეკრულებო ვალდებულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი

ინტელექტუალური საკუთრების საკოლიზიო საკითხებთან დაკავშირებით, აუცილებელია, განვიხილოთ არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საფუძვლებიც. როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო სამართალდარღვევები შეიძლება გამომდინარეობდეს არასახელშეკრულებო, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან. ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია როგორც ჩვენი კანონმდებლობის, ასევე, შედარების მიზნით რომის II რეგლამენტის განხილვაც, რომელიც ეხება არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საკითხებს. რა ფაქტორები შეიძლება, ჩავთვალოთ, საქართველოს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების მიმართ არასახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში, გამოსაყენებელ სამართლის საფუძვლებად? საქართველოს კანონი, არ შეიცავს პირდაპირ მითითებას, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით, არასახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობებისას გამოსაყენებელ სამართალზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შედარებისთვის საინტერესოა, მოკლედ განვიხილოთ რომის II რეგლამენტის შესაბამისი მუხლები. კერძოდ, მე-8 და მე-13 მუხლები. აღნიშნული რეგლამენტის მეორე თავი ეხება, ზოგადად, ზიანის დადგომისას გამოსაყენე-

ბელ სამართალს, ხოლო, ამავე თავის მე – 8 მუხლი, ინტელექტუალური უფლებების დარღვევას არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე. ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: 1. არასახელშეკრულებო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ინტელექტუალური საკუთრების, უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული გამოსაყენებელი სამართალი ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მოითხოვენ დაცვას,<sup>23</sup> (lex loci protectionis). საქართველოს სკს-ის შესახებ კანონი, როგორც აღვნიშნეთ, არ აღგენს არასახელშეკრულებო, კანონისმიერი ვალდებულებების შემთხვევაში, ინტელექტუალური საკუთრების, უფლებების დარღვევასთან გამოსაყენებელ სამართალს; იგი ითვალისწინებს, მაგ. ისეთ საკითხებს, როგორიცაა საზიარო უფლებები, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება, უსაფუძვლო გამდიდრება და დელიქტები. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია, რეგლამენტის მესამე თავი, რომლის მე-10, მე-11 და მე-12 მუხლები აღგენს, შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრების, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას და Culpa in contrahendo-ს\* შემთხვევებში გამოსაყენებელ სამართალს. მაგრამ, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ რეგლამენტის მე-13 მუხლი, ინტელექტუალური საკუთრების დარღვევაზე, მიუთითებს ისევ მე-8 მუხლზე. ე.ი. აღნიშნული პრინციპები არ მოქმედებს, და როდესაც ირღვევა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ისევ მეორე თავში მითითებული მე-8 მუხლის პრინციპი – იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მოითხოვენ ინტელექტუალური საკუთრების უფლე-

23 არასახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ #864/2007 რეგლამენტი (რომის II რეგლამენტი). [წვდომის თარიღი 20 მაისი, 2020]. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2007:199:0040:0049:EN:PDF>

\* Culpa in contrahendo – წინასახელშეკრულებო ვალდებულებები, ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ძირიადი ხელშეკრულების დადებამდე. შედარებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული პრინციპი.

ბის მფლობელის უფლებების დაცვას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მითითება ხდება სახელმწიფოზე, სადაც მოითხოვება ამ უფლების დაცვა-აღდგენა, ანუ რომელი ქვეყნის სასამართლოშიც უნდა მოხდეს დავის განხილვა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება იყოს ერთი და იგივე ქვეყანა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, კანონში გაითვალისწინონ ცალკე მუხლის სახით არასახელმწიფოებო ურთიერთობებისას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სამართლის განსაზღვრა (საკოლიზიო ნორმის საბამის დადგენა), ზემოთ აღნიშნული პრინციპით. ამავ დროს, ასეთ შემთხვევაშიც არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სამართლის სუბიექტთა „ნების ავტონომიის“ პრინციპი; რაც თავის მხრივ დადგენილია სკს-ის შესახებ კანონის 43-ე მუხლში – მხარეებს, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის შემდეგ, უფლება აქვთ აირჩიონ გამოსაყენებელი სამართალი. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ეს შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს, ანუ სარჩელის სამართალწარმოებაში მიღების შემდეგაც, სასამართლოს მთავარის სხდომის დამთავრებამდე.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საქართველოს სკს-ის შესახებ კანონს დაემატოს 421 მუხლი შემდეგი შინაარსით:

„1. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები, გამომდინარე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მოითხოვენ სასამართლო წესით დაცვას.

ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის შემდეგ, მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს აირჩიონ სამართალი, რომელსაც ეს ურთიერთობები დაექვემდებარება.“

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი:

საქართველოს სასამართლოებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ დავებზე განსაკუთრებული საერთაშორისო განსჯადობა გააჩნიათ მხოლოდ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კერძოდ, როდესაც სარჩელი ეხება უშუალოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქპატენტის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. რაც თავის მხრივ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების სახეს.

განაალიზებულია ის კანონისმიერი საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაში, როგორ და რა წესით გააჩნიათ საქართველოს სასამართლოებს ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივ დავებზე საერთაშორისო კომპეტენცია.

აუცილებლად მიგვაჩნია საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონში, რომელთა საფუძველზე: ა) უნდა გაფართოვდეს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სფეროში დადებული ხელშეკრულებების საბამი (მიმაგრების ფორმულა), იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი სამართალი. ბ) ცალკე მუხლის სახით ჩამოყალიბდეს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მხარეთა შორის არასახელმწიფოებო ვალდებულებების მიმართ საქართველოს სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის წესი

**ბიბლიოგრაფია:**

1. კური, ა. და დრეიერი, ტ. 2017. ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ლილუაშვილი, თ., ლილუაშვილი, გ., ხრუსტალი, ვ. და ძლიერიშვილი, ზ., 2014. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. I ნაწილი. თბილისი: სამართალი.
3. ლილუაშვილი, თ., 2005. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი: ჯისიაი.
4. ლილუაშვილი, თ., 2000. საერთაშორისო კერძო სამართალი. თბილისი: ჯისიაი.
5. ლილუაშვილი, ბ., 2017. სასამართლოთა საერთაშორისო განსჯადობაზე მხარეთა შეთანხმების სამართლებრივი ბუნება. სამართალი და მსოფლიო, 6, გვ. 7-20.
6. ძამუკაშვილი, დ., 2006. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი. თბილისი: ინტელექტი.
7. ჭანტურია, ლ., რედ., 2017. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I.
8. ჭანტურია, ლ., რედ., 2019. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი III. თბილისი: სამართალი.
9. Kegel, G., 1987. Internationales Privatrecht. 6 Auflage. Munchen: C. H. Beck.
10. Thomas/putzo.1997. ZPO. 20 Auflage. Munchen.: C. H. Beck.

**ნორმატიული მასალა:**

1. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია – საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი 1995 წ. 16 მაისი. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2446482?publication=0>
2. სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია. საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი 1993 წ. 14 ივნისი. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2446385?publication=0>
3. შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და მუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესა-

**Bibliography:**

1. Kuri, A. & Dreyer, T., 2017. European Intellectual Property Law. Tbilisi: University Publishing House. (in Georgia)
2. Liluashvili, T., Liluashvili, G., Khrustali, V. & Dzlierishvili, Z., 2014. Civil Procedure Law. Part I, Tbilisi: Law. (in Georgia)
3. Liluashvili, T., 2005. Civil Procedure Law. Tbilisi: GCI. (in Georgia)
4. Liluashvili, T., 2010. Private international law. Tbilisi: GCI. (in Georgia)
5. Liluashvili, B., 2017. # 6. The legal nature of the agreement of the parties on the international jurisdiction of the courts. Law and the World, Tbilisi. 6. 7-20. (in Georgia).
6. Dzamukashvili, D., 2006. Intellektual Properti Law. Tbilisi: Intellect. (in Georgia)
7. Chanturia, L., 2017. Commentary on the Civil Code. Book I. (in Georgia)
8. Chanturia, L., Ed., 2019. Commentary on the Civil Code. Book III, Tbilisi: Law. (in Georgia)
9. Kegel, G., 1987. Internationales Privatrecht. 6 Auflage. Munchen: C. H. Beck. (in Germany)
10. Thomas/putzo.1997. ZPO. 20 Auflage. Munchen.: C. H. Beck. (in Germany)

**Normative materials:**

1. Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works. [viewed 20 May 2020]. Available from: [www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/2446482?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/2446482?publication=0) (in Georgia)
2. Paris Convention for the Protection of Industrial Property. [viewed 20 May 2020]. Available from: [www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/view/2446385?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/view/2446385?publication=0) (in Georgia)
3. Rome Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations. [viewed 20 May 2020]. Available from: [www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/1399889?publication=0](http://www.matsne.gov.ge/ka/dokument/view/1399889?publication=0) (in Georgia)
4. The Law Applicable to Contractual Ob-

- სებ რომის კონვენცია; საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი 2004 წ. 14 აგვისტო. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399889?publication=0>
4. სახელმეკრულებო ვალდებულების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი რეგლამენტი 593/2008 (რომი I რეგლამენტი). [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:177:0006:0016:En:PDF>
  5. არასახელმეკრულებო ვალდებულებების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ #864/2007 რეგლამენტი (რომის II რეგლამენტი). [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2007:199:0040:0049:EN:PDF>
  6. ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წ. 29 აპრილის (2004/48/EC) დირექტივა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხორციელების (იძულებითი აღსრულების) შესახებ. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:195:0016:0025:en:PDF>
  7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=459>
  8. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/document/view/93712?publication=4>
  9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141>
  10. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [წვდომის თარიღი 20 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=226>
  11. Zivilprozessordnung Deutschlands. 2006. Moskau: Wolters kluver. (in Russian)
  12. Nouveau code de procedure civile. Editions Dalloz, 1997. (In French)
  13. Federal rules of civil procedure. ST. Paul, MINN. West Publishing co. 1994. (in English)
  - ligations (Rome I). Regulation (EC) No 593/2008. Of 17 June 2008. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:177:0006:0016:En:PDF> (in English)
  5. The Law Applicable to non-Contractual Obligations (Rome II). Regulation (EC) No 864/2007. Of 11 June 2007. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2007:199:0040:0049:EN:PDF> (in English)
  6. The enforcement of intellectual property rights. Directive 2004/48/EC. Of 29 April 2004. <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2004:195:0016:0025:en:PDF> [viewed 20 May 2020]. Available from: (in English)
  7. Administration Offences Code of Georgia. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=459> (in Georgia)
  8. Law of Georgia On Private International. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> (in Georgia)
  9. The Civil procedure Code of Georgia. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141> (in Georgia)
  10. Criminal Code of Georgia. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=226> (in Georgia)
  11. Zivilprozessordnung Deutschlands. 2006. Moskau: Wolters kluver. (in Russian)
  12. Nouveau code de procedure civile. Editions Dalloz, 1997. (In French)
  13. Federal rules of civil procedure. ST. Paul, MINN. West Publishing co. 1994. (in English)



**სასამართლო პრაქტიკა:**

1. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმე (#ბს-424-413(გ-13)). [წვდომის თარიღი 20 მაისი, 2020]. ხელმისაწვდომია: [www.supremecourt.ge/ganmartebebi//files/upload-file/pdf/n72-mnishvnelovani-ganmarteba.pdf](http://www.supremecourt.ge/ganmartebebi//files/upload-file/pdf/n72-mnishvnelovani-ganmarteba.pdf)

**Judicial practice:**

1. Judgment of the Supreme Court of Georgia of 31 October 2013 (Case # BS-424-413 (G-13)). [viewed 20 May 2020]. Available from: [www.supremecourt.ge/ganmartebebi//files/upload-file/pdf/n72-mnishvnelovani-ganmarteba.pdf](http://www.supremecourt.ge/ganmartebebi//files/upload-file/pdf/n72-mnishvnelovani-ganmarteba.pdf) (in Georgia)

**Notes:**

1. WIPO intellectual Property Handbook; Policy, law and use, 2nd ed. Geneva 2004. p. 3 – 4. [viewed 20 May 2020]. Available from: [www.wipo.int/about-ip/en/iprm](http://www.wipo.int/about-ip/en/iprm) (in English)
2. Kuri, A. & Dreyer T., 2017. European Intellectual Property Law. Tbilisi: University Publishing House, p. 6. (in Georgia)
3. Adusei, p., 2005. Modern challenges to moral rights protection under copyright Law: the way forward, Edmonton, Alberta, p. 13. (in English)
4. Arikle 10 (d), Law of Georgia on Private International Law. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> (In Georgia)
5. Judgment of the Supreme Court of Georgia of 2013, 31 October. [#bs-424-413(g-13)]. (in Georgia)
6. Arikle 8, Law of Georgia on Private International Law. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> (In Georgia)
7. Liluashvili, T., 2001. Private international law. Tbilisi: GCI, pp. 126-127. (in Georgia)
8. Arikle 9 (b), Law of Georgia on Private International Law. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> (In Georgia)
9. Kuri, A. & Dreyer, T., 2017. European Intellectual Property Law. Tbilisi: University Publishing House, p. 537. (in Georgia)
10. Arikle 16, Civil Procedure Code of Georgia. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=141> (in Georgia)
11. Arikle 9 (a), Law of Georgia on Private International Law. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> (In Georgia)
12. Liluashvili, T., 2005. Civil Procedure Law. Tbilisi: GCI, p. 123. (in Georgia)
13. Arikle 9 (g), Law of Georgia on Private International Law. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4> (In Georgia)
14. Ibid, Arikle 18 (1).
15. Liluashvili, B., 2017. The legal nature of the agreement of the parties on the international jurisdiction of the courts. Tbilisi: Law and the World. 6, p. 15. (in Georgia)
16. Kuri, A. & Dreyer, T., 2017. European Intellectual Property Law. Tbilisi: University Publishing House. S. 565. (in Georgia)
17. The Law Applicable to Contractual Obligations (Rome I). Regulation (EC) No 593/2008. Of 17 June 2008. [viewed 20 May 2020]. Available from: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:177:0006:0016:En:PDF> (in English)
18. Ibid.
19. Ibid.
20. Liluashvili, T., 2010. Private international law. Tbilisi: GCI, pp. 83-84. (in Georgia).
21. Kuri, A. & Dreyer, T., 2017. European Intellectual Property Law. Tbilisi: University Publishing House, p. 566. (in Georgia)
22. Ibid.
23. The Law Applicable to non-Contractual Obligations (Rome II). Regulation (EC) No 864/2007. Of 11 July 2007. [viewed 20 May 2020]. Available from: [www.europa.eu/legal-content/EN/TXT/](http://www.europa.eu/legal-content/EN/TXT/) (in English)